ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
გარემოს დაცვისა და ბუნებრივი
რესურსების სამმართველო

G E O R G I A
Directorate for Environment and
Natural Resources of
Ajara Autonomous Republic

6010, ქ. ბათუმი, ვახტანგ გორგასალის ქ. №124
№ 124, Vakhtang Gorgasali st., Batum, 6010

ტელ: (0422) 27 35 91 ფაქსი: (0422) 27 35 90
Tel: (0422) 27 35 91 Fax: (0422) 27 35 90

N 08/221
21/04/2022

221-08-2-202204211538
https://edocument.ge/AdjaraGov/public

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის
მინისტრის მოადგილეს ქალბატონ ნინო თანდილაშვილს

ქალბატონო ნინო,

გაცნობებთ, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება - გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველო გეგმავს, ქ. ბათუმში, შავი ზღვის სანაპირო ზოლის, ქალაქის გამწმენდი ნაგებობის მოპირდაპირედ, ასევე აეროპორტის ასაფრენი ბილიკის და ე.წ. ახალი ბულვარის მიმდებარე მონაკვეთზე სანაპირო ზოლის გასამაგრებელ სამუშაოებს.

ვინაიდან, საქართველოს გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-II დანართის, მეცხრე პუნქტის, 9.13 ქვეპუნქტის შესაბამისად, ნაპირდაცვითი და სანაპირო ზოლის ეროზიის შესაკავებლად ან/და სანაპირო ზოლის აღდგენის მიზნით გათვალისწინებული სამუშაოები, აგრეთვე საზღვაო სამუშაოები, რომლებითაც შეიძლება სანაპიროს შეცვლა მშენებლობის მეშვეობით (კერძოდ, დამბის, ჯებირის, მიწაყრილის განთავსება და ზღვისგან დაცვის სხვა სამუშაოები), გარდა მათი სარეკონსტრუქციო სამუშაოებისა, ექვემდებარება სკრინინგის პროცედურის გავლას, ზემოაღნიშნული კოდექსის მე-7 მუხლის გათვალისწინებით, მომზადებული იქნა შესაბამისი სკრინინგის ანგარიში.

გთხოვთ განიხილოთ, თანდართული დოკუმენტი და მიიღოთ შესაბამისი გადაწყვეტილება.

დანართი - სკრინინგის ანგარიშის ელ. ვერსია.

პატივისცემით,

ჯემალ ნაკაშიძე

სამმართველოს უფროსი